უხვგოლიანი ტაიმი

თბილისი. ვ.ი. ლენინის სახელობის "დინამოს" სტადიონი. 8 ნოემბერი.

"დინამო" (თბილისი) – "ტავრია" (სიმფეროპოლი) 5:0 (0:0).

"დინამო": გაბელია, ანდღულაძე, ჟვანია (ჩელებაძე), ხინჩგაშვილი, მუჯირი, დარასელია, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, კაკილაშვილი (ჯოხაძე), შენგელია.

"ტავრია": იურკოვსკი, აბჟინოვი, მატუხნო, სიროვატსკი, ზვიაგინცევი, ტკაჩუკი (პეტროვი), კატალიმოვი, გალუსტოვი, მალიშენკო, ნაუმენკო, სინელნიკი.

მსაჯი: ე. შკლოვსკი (მოსკოვი).

მაყურებელი - 30.000.

დუბლიორები - 6:0. 4 ბურთი გაიტანა ცავამ, 2 - ჩელებაძემ.

თბილისის "დინამოს" ფეხბურთელებს თავიანთ პრაქტიკაში ჰქონიათ პრეცედენტი, როცა ორი სავსებით განსხვავებული ტაიმი უთამაშიათ, პირველი 45 წუთის უფერული, მდარე ბრძოლის შემდეგ რადიკალურად გარდაუქმნიათ თამაში და წარმატებაც მოუპოვებიათ სწორედ ასეთი დიდი ანგარიშით. თბილისელები, საერთოდ, მეორე ტაიმს გაცილებით უფრო ძლიერად ატარებენ და გამარჯვებასაც, ჩვეულებრივ, მაშინ აღწევენ. სიმფეროპოლის "ტავრიასთან" სუსტად ჩატარებული პირველი ტაიმის შემდეგ დინამოელებმა მთლიანად ხელთ აიღეს თამაშის სადავეები და სტუმრებს მატჩის ხსნის არავითარი იმედი არ დაუტოვეს.

განვლილ შეხვედრას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: თბილისელებმა ბრინჯაოს მედლების მოსაპოვებლად უნდა აიღონ ქულათა მაქსიმუმი და მათი დამწევი უკვე არაა არავინ - არც მოსკოვის "ტორპედო" და არც მოსკოვის "დინამო". სიმფეროპოლის "ტავრია" კი ამ ტურისთვის ჯერ კიდევ ინარჩუნებდა უმაღლეს ლიგაში დარჩენის თეორიულ შესაძლებლობას და ამიტომ აბსოლუტურად ყველაფერი უნდა გაეკეთებინა ამ შანსის სარეალიზაციოდ. სტუმრებმა პირველ ტაიმში ყველა ღონეს მიმართეს მატჩის სახსნელად, მაგრამ შესვენების შემდეგ უძლურნი იყვნენ რამე მოემოქმედათ და გაეწიათ რამდენადმე მაინც ეფექტური წინააღმდეგობა.

როგორც ვთქვით, დინამოელებმა დუნედ, დაბალ ტემპში ითამაშეს პირველ ტაიმში და არსებითად ვერაფერი შექმნეს მეტოქის კართან. "ვერაფერი" - თუნდაც იმიტომ, რომ მე-8 წუთზე ჟვანიას წინააღმდეგ უხეშობისთვის სტუმრების კარში დაინიშნა პენალტი, შენგელიამ კი, ჩვენი აზრით, იჩქარა და იუროვსკიმ მოასწრო მის მიერ დარტყმული 11-მეტრიანის მოგერიება. სხვა რამ მნიშვნელოვანი შეხვედრის პირველ ნახევარში არ მომხდარა.

სულ სხვა იყო თამაში მეორე ტაიმში. დიდად გაამართლა იმ შეცვლებმა, რომლებიც თბილისის "დინამოს" მწვრთნელებმა მოახდინეს და მინდორზე გამოიყვანეს ჯერ ჩელებაძე, ხოლო შემდეგ ჯოხაძე. თამაში გამოცოცხლდა, შეტევა გამწვავდა, ნახევარმცველებმა თანდათან მოუმატეს სამოქმედო დიაპაზონს და "დინამო" "დინამოს" დაემსგავსა. წინა ხაზზე იერიში იერიშს მოსდევდა, როგორც მეკარე იუროკოვსკი, ისე "ტავრიის" მცველები ვერ აუდიოდნენ შეტევათა მოგერიებას და ბურთების გამოტანას ბადიდან.

თბილისელებმა "ტავრიის" კარში 5 გოლი ფაქტიურად სულ რაღაც ოციოდე წუთის მანძილზე გაიტანეს. პირველი "ნავსი" 65-ე წუთზე გატეხა ჩელებაძემ, რომელიც სწრაფად შეეგება შენგელიას ზუსტ გადაცემას. ამის შემდეგ ჩელებაძემ კვლავ გამოიჩინა თავი და კარგად გაიყვანა საგოლე პოზიციაზე სვანაძე - 2:0.

მე-80 წუთზე ჯოხაძემ მარცხენა ფლანგიდან შორეული დარტყმით გაგზავნა ბურთი ”ტავრიის” კარის მაღალ კუთხეში, შემდეგ შენგელიამ მიუმატა კიდევ ერთი ბურთი თავის საერთო აქტივს და 84-ე წუთზე ჩელებაძემ კიდევ ერთხელ გაამართლა მისი მინდორზე გამოყვანის იდეა - 5:0.

რ. ქორიძე.
”ლელო”, 10 ნოემბერი 1981 წ.